№ 278

სამშაბათი, 29 დეკემბერი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 278

სამშაბათი, 29 დეკემბერი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


## ქართული თეატრი

შაბათს, 2 იანვარს,

ქართულის თეატრის დაფუძნების სახსოვრად

წარმოდგენილი იქმნება პირველად განახლების შემდეგ:

I

## დავა

კომედ. 5 მოქმედ., თხზ. თავ. გ. ერისთავისა

II

## სამზადისი

სცენები ქართული თეატრის დაფუძნების დროისა., თხზ. ვ. უმიკაშვილისა.

დ ა ს ა ს რ უ ლ

## აპოთეოზი

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—185—14)

ოთხშაბათს, 6 იანვარს 1899 წელს, ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გამართული იქმნება

## ბალი

ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

**ბილეთების ფასი 2 მან. 10 კ.**

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის, სამხედრო წოდების კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი, დანარჩენებისათვის ფრაკი.

ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან. (5—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ა. ა. ხაჯასარდიანი**, 11—12 საათ. (ადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პრიტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. შ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)


### მთავრობის განკარგულებანი

ებოძა სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ტიტულიარნი სოვეტნიკობა—კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტო გამგეობის მოხელეს ნაცვლიშვილს.

დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით თანამდებობიდგან ტფილისის საგუბერნიო გამგეობის მოხელე მიხეილ ზუბალაშვილი.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა შესწირა: ტფილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიას, ამ სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ—300 მანეთი, ნადეჟდას ბავშვთა თავ-შესაფარს—150 მანეთი და ნავთლუღში არსებულ ღარიბთა თავ-შესაფარს—150 მანეთი.

*** წარსულს შაბათსა და კვირას, 26 და 27 დეკემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ორი წარმოდგენა გაჰმართა. პირველს დღეს წარმოადგინა: „და-ძმა“ ვ. გუნიას დრამა, ხოლო მეორე დღეს „სამშობლო“. ორივე პიესა სადღესასწაულო გუნებით წარმოადგინეს არტისტებმა.

*** შაბათს, 26 დეკემბერს, სახალხო კითხვების სადგომში სცენის მოყვარეთა მიერ ქართულს ენაზედ სახალხო წარმოდგენა იქმნა გამართული. ითამაშეს ყაზბეგის დრამა „არსენა“. წარმოდგენამ ჩვეულებრივ კარგად ჩაიარა. ხალხი ბლომად დასწრო.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ აცნობა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას, რომ სამინისტრომ გადასდო 300 მ. ამ საზოგადოებისათვის სამეურნეო იარაღის განზრახულ საწყობის გასამართავად.

*** ამას წინად ვწერდით, რომ მიწად-მოქმედების სამინისტრომ წინადადება მისცა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას,—გამართოს მომავალ წელს ქუთაისში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა. განყოფილება ამ წინადადებას სიხარულით მიეგება. 20 დეკემბერს, კრებაზედ, არჩეულ იქმნა კომისია ს. ხ. ხოჯაევის თავმჯდომარეობით, რომელსაც მიენდო გამოფენის პროგრამის შემუშავება და დროს დანიშვნა. აზრადა აქვთ გამოფენა ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელთან გაჰმართონ.

*** გუშინ, 28 დეკემბერს, ტფილისის გუბერნატორმა თ. ა. ბიკოვმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის ბძანებით შეჩერებულ იქმნა განხილვა ქალაქის გამგეობის მიერ 21 დეკემბერს წარდგენილ პროექტისა ქალაქის თვით მმართველობისა და ცხენის რკინის გზის მმართველ უსახელო საზოგადოების შორის ახალ ხელშეკრულობის შესახებ.

*** 28 დეკემბერს კრებაზედ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა სთხოვოს საბჭოს გადადებულ იქმნას 600 მანეთი გამგეობის რეგისტრატორის ახალის თანამდებობის დასაწესებლად.

*** გუშინ, 28 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასცა გუბერნატორს დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ანდრია სამადუროვს ნება მიეცეს ვერის ხიდის ზემოდ მტკვარზედ ბორანი გაჰმართოს. თვეში სამადუროვმა ქალაქს 25 მანეთი უნდა აძლიოს, ხოლო მგზავრებისაგან სამსამი კაპეიკი აიღოს.

*** მორიგი კრება ქალაქის საბჭოსი დანიშნულია 30 დეკემბერს. განსახილველად დანიშნულია შემდეგი საგნები: პროექტი დებულებისა იმ კომიტეტის დაარსების შესახებ, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს ცუდის ყოფაქცევის ქალთა სადგურებს; მოხსენება გამგეობისა 1899 წლისათვის ტრაქტირების მოწმობებისა; დადგენილება გამგეობისა მომავალ წლიდგან გამგეობის კანცელარიის ზოგიერთ წესწყობილების შეცვლის შესახებ და სხვ.

*** აზრადა აქვთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთათვის დაარსონ წიგნთ-საცავი. ტფილისის გუბერნატორს უკვე დაუმტკიცებია წესდება ამ წიგნთ-საცავისა.

## ფელეტონი

### „ღარიბი ხარ, რითი იცხოვრებ?!“

„უსიყვარულოდ ვერ ამაღლდები“...

გ. ერისთავი

დიდხანს ვზარდე გულში სიყვარული, დიდხანს; ველარ დავფარე და ჩემი სურვილი სატრფოს განვუცხადე... მან გადიხარხარა, თითქმის დაცინვის კილოთი...

„ნუ, ნუ დასცინი ჩემს გრძნობას, ჩემს აზროვნებას განუსჯელადა; შენ შეგიყვარე და დაგემონე... მსახიობურად არ ვიქცევი და ნუ გგონია, რომ ჩემი სიყვარული ხან-მოკლე იყოს... რა ვქნა, რა ვუყო, განა მე მსურდა, რომ ფიქრი ჩემი, მთელი ჩემი არსება მხოლოდ შენის „მე“-სთვის დამემონებინა... შენი თვისებანი მაჯადოვებენ და ჩემი „მე“ შენ გეფინება გარს...

„კარგა ხანი ვიცხოვრე შენთან მახლობლად, გადევნე თვალი, ჩემო ცელქო და რა გაგიცან, ჩემად დაგიგულე...

„რად შემიყვარდი?— რათა და მათა, რომ გულწრფელი ხარ, სულით სპეტაკი, შენს გონებაში ბოროტს ფიქრს ადგილი არა აქვს დათმობილი, შენი გული ჩაგრულთ-მაშვრალთა შესაწევრად მზაა ყოველთვის,— აი რად!..

„რად შემიყვარდი?— ვეკითხები ჩემს თავს და რიგიანად ვერა გამომირკვევია რა: შენმა ღმობიერება-ნეტარებით აღსავსე „მემ“, რომელიც ტახტია სიყვარულისა, მთლად შთამნთქა...

„რად?—ნუ მეკითხები, ჩემის სულის მშვიდობის ანგელოზო. იქნება შენის სიყვარულის ღირსი არ ვიყო, სხვისთვის ემზადებოდე? მაგრამ ნუ მიწყენ, ნუ გამკიცხავ, შემიყვარდი:— სიყვარული-კი არავის აღეკრძალვის...

„ტლუ ბიჭი ვარ! მშობლებით უდროვოდ დაობლებული; ცხოვრების შეუგნებლობამ მრავალ გზის წაღმა-უკუღმა მაქანა, დამაწყლულა; ვერავისთან ვერა ვპოვე ბინა, რომ შვებით ამომესუნთქა, ვერა ვნახე ნავთ-საყუდარი, რომ ჩემის სიცოცხლის ნავი მიმეყრდო... დიაღ, ვიდოდი გზა დაკარგული და აწ ძლივს მოგაგენ შენ, შენ, რომელსაც, მსურს, თავისუფლად მოგესვენო...

„ცხოვრების ქარიშხალმა უკუნეთ-უფსკრულში გადამტყორცნა, სუნთქვა გამიძნელდა; ირგვლივ ყოველივე შემეზიზღა; ასეთ მდგომარეობაში მყოფი სიკვდილს ვნატრობდი, ამ დროს უეცრივ შენი სახე მფარველ ანგელოზად მომევლინა, შენი არსება, რომელიც სიყვარულს აფრქვევს და... უეცრივ შევიცვალე, მომენატრა სიცოცხლე, ყოველივე შემიყვარდა... შენი სახე გულში მაქვს ხატად ჩასვენებული და არავითარი დაბრკოლება ჩემს სვლის დროს ვერ შემადრკობს...

„შენის სიყვარულით მოხიბლულს ეს ქვეყანა სამოთხედ მეჩვენება, სიცოცხლეს ტკბილადა ვგრძნობ; თითქოს თანხმობით მდინარებს ადამიანთა ცხოვრება: ერთი მეორეს არა სდევნის, არა სჩაგრავს; ურთიერთს მტრულად არ უმზერენ; დიდ-პატარას, გაურჩევლად წოდება-ხარისხისა, ხელი ხელს ჩაკიდებულნი, დიდის მოძღვრის მცნებას ასრულებენ; განდევნილია: შური, შენ-ჩემობა, გაუტანლობა; ჩემს გარეშემო აღარ ისმის მაშვრალ-ტანჯულთა კვნესა-გმინვა, აღარსადა სდგას ცრემლის გუბეები, რომელშიაც იხრჩობოდნენ ამავე ცრემლთა დამფრქვევნი; კმაყოფილნი ბედის მომჩივანთა სისხლ-ცრემლში ველარ ურევენ თავისს ცოდვილს ხელებს... ვიხედები ირგვლივ და აღარსად არ ვამჩნევ ქვრივთ, რომელთაც შვილები წარსტაცეს უკანონოთ „კანონიერთა“, დაატუსაღეს, დააწიოკეს და საბრალოებს წუხილი ვერვინ შეუმსუბუქა... გულში ღმობიერების შარავანდედი ჩამეშუქა სვეტად, ვიყურები ირგვლივ, არსად, არსად სიბნელე, ყველგან ნათელი ჰმეფობს, სიყვარულით გარემოცული... ოჰ, ღმერთო, ღმერთო! რა ბედნიერება და ასეთი ბედნიერებისთვის ადამიანს განა დიდი რამ დასჭირდა, არა, მხოლოდ სიყვარული!..

„ქონებით ვერ გაგაკვირვებ, მე ჩემი გამოცდილება-ცოდნა თანა მდევს და თუ-კი ამას შენი სიყვარულიც შეუერთდა, ცხოვრების ეკლიანს გზას გავივლი! ტიტვლები დავიბადენით, დედის მუცლი-

*** სამკურნალო გამგეობას ათმა კაცმა მიჰმართა და სთხოვა, ნება მოგვეცით ტფილისში აფთექები დავაარსოთო.

*** სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილების ბუჰალტერის თანაშემწე რ. ვ. გვამიჩავა დანიშნულ იქმნა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის უფროსს ბუჰალტერად.

*** 21 დეკემბერს აკურთხეს ახალსამების უბანში (ავლაბარში) ახლად დაარსებული პირველ დაწყებითი სასწავლებელი. კურთხევას დაესწრნენ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, საოლქო ინსპექტორი მ. რ. ზავადსკი. სასწავლებელში მიღებულ იქმნა 70 ბავშვი.

*** აზრადა აქვთ 1899 წელს ახალციხესა და აბასთუმანში თითო ბეითალი დანიშნონ.

*** როგორც გაზ. „კასპი“ იუწყება, ბაქოს ნავთის მწარმოებელს ბეკენდორფს თავისის ნავთის ქარხნები 5 მილიონად მიუყიდნია ვოლგა-კამის სავაჭრო ამხანაგობისათვის. ბ-ნ ბეკენდორფს აზრადა აქვს 150 ათასი მანეთი საჩუქრად დაურიგოს მუშებსა და ყველა იმას, ვინც იმის ქარხნებში მსახურებდა.

*** დ. ხონი. შავი ქვის საქმე. სოფ. გორდში, სენაკის მაზრაში და მახლობელ სოფლებშიაც დიდი აღარაფერი უკლია შავი ქვის საქმის გაჩაღებას. ამას ამტკიცებს ბევრს ალაგას აღმოჩენილი შავი ქვის მადნები. ქვა საუკეთესო ხარისხისაა. ზოგ ადგილას თვით მემამულეთ საცდელად გასთხარეს ადგილები და 6 საჟენი გვირაბიდგან 1200 ფუთამდე შავი ქვა ამოზიდეს.

*** რადგანაც სავალდებულო დადგენილებათა ძალით ნავთით მოვაჭრეებს აღეკრძალათ იქონიონ დუქანში ერთ ფუთ ნავთზედ მეტი, ამიტომ სიღნაღის ვაჭართ შუამდგომლობა აღძრეს და სთხოვეს ნება მოგვეცით ვიქონიოთ სარდაფებში 15 ფუთამდე ნავთიო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ დაკლებულ იქმნას საკირე ქვის რკინის გზის სადგურებიდგან ბათუმში გადაზიდვის გარდასახადი. ამ შუამდგომლობის მიზეზი ის არის, რომ ასეთი ქვა ბათუმსა და იმის ახლო-მახლო არსად მოიპოვება და ამიტომ შორიდგან მოტანა ძვირადა ჯდება.

*** ვიღაც კაცმა, რომელმაც არ მოისურვა თავისის გვარის გამოქვეყნება, გარდასცა ტფილისის პოლიცმეისტერს 90 მანეთი შემდეგ დაწესებულებათა სასარგებლოდ: 10 მ. მეტეხის საპატიმროს პატიმართა სანოვაგის გასაუმჯობესებლად, 5 მანეთი სამხედრო საპატიმროს, გადმოსახლებულ რუსთა სასადილოს—25 მანეთი, ვერის ღამის თავშესაფარს—15 და ღარიბებს—25 მან.

*** 24 დეკემბერს ავჭალის ქუჩაზედ გაქანებული ეტლი ზედ წააწყდა ქუჩაზედ მიმავალს სპირიდონ ნოსაძეს. ნოსაძე ცოტათი დაშავდა.

*** 24 დეკემბერს საბჭოს ექიმებმა ლაბარატორიას გაუგზავნეს გამოსაკვლევად 20 ფუთი თაფლი, რომელსაც ბაზარში ჰყიდნენ. ზოგი თაფლი გაფუჭებული აღმოჩნდა.

## ქუთაისის ქალაქის საბჭო

21 დეკემბერი.

კრება დაიწყო საღამოს რვა საათზედ ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით. კრებას მრავალი ხმოსანი დაესწრო. ეს მეოთხე კრებაა, რომ საბჭომ ვერ დაასრულა მომავალი წლის შემოსავალ გასავლის ხარჯთაღრიცხვა. შემოსავალი ნაკლებია, გასავალი მეტი. ხან აქედგან აუარეს, ხან იქიდგან, მაგრამ შემოსავლის წყარო ვერას გზით ვერ მონახეს. ამნაირად ჯერ კიდევ ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება დაუმთავრებელია. პირველად კითხვა აღიძრა იმის შესახებ, თუ რამდენი ფული გადიდვას ქალაქის საკუთარის მოედნებისა და იმ ქუჩების გასასუფთავებლად, რომელნიც ქალაქის მამულების გასადევარია. ამ საგნისთვის საბჭომ გადასდო 1000 მან.

შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი ქალაქის წიგნთ-საცავის მდგომარეობისა და მისის შემოსავალ-გასავლის შესახებ. ეს წიგნთ-საცავი ქალაქმა გახსნა ამ სამის წლის წინად, 1895 წ. აპრილში. სამკითხველოს საქმე პირველს წელიწადს ძალიან კარგად მიდიოდა: მკითხველები ბლომად ჰყავდა, მაგრამ შემდეგ თანდათან უკან-უკან დაიწია. მაგალითად, წელს ხელის-მომწერი 181 ჰყოლია, შარშანდელთან შედარებით ასით ნაკლები. დღეში საშუალო რიცხვით 70 კაცი დაიარება საკითხავად; ხოლო მთელის წლის განმავლობაში მისულა 12,590 მკითხველი. ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ ეხლა წიგნთ-საცავი ცუდს მდგომარეობაშიაო; უმჯობესობა არ ეტყობა, თანდათან უარეს მდგომარეობაში ვარდება, არ ვიცი, რა მიზეზის გამოო, და შემდეგ დასძინა: წიგნები მკითხველებს ძალიან გაუფუჭებიათ, ზოგიდგან ფურცლები ამოუხევიათ, ზოგზე ყარანდაშით და კალმით დაუჩხაპიათ, ზოგზე რაღაც უწმაწური სიტყვები დაუწერიათ და შეიძლება ამ გარემოებამაც იქონია გავლენა წიგნთ-საცავის უკან დაწევაზეო. ცოტა ბრალი ედება წიგნთ-საცავის მზრუნველსაც, რომელმაც თავისს დროზედ არ იზრუნა ახალის წიგნების გამოწერისა და ძველიბის შეკეთებისთვის. გამგეობის ერთმა წევრთაგანმა საბჭოს მოახსენა, რომ წიგნთ-საცავის მზრუნველმა წარსულ აგვისტოშივე შემოიტანა გამგეობაში გამოსაწერი წიგნების სია, მაგრამ ქალაქის გამგეობამ ამ საგნისთვის გადადებული ფული (400 მან.) ვერ მისცა მას, და წიგნები როგორ გამოიწერებოდაო. ხმ. ბ. ლორთქიფანიძემ სთქვა, რომ მიზეზი მკითხველების რიცხვის შემცირებისა მრავალია: პირველ წელიწადს რომ ბევრი მკითხველი იყო, ეს იმით აიხსნება, რომ საქმე მაშინ ახალი იყო და ახალს საქმეს ყოველთვის თანამგრძნობი ბევრი ჰყავს; მეორე მიზეზი მკითხველების სიცოტავისა ის არის, რომ გიმნაზიის მთავრობამ გიმნაზიელებს აღუკრძალა ამ წიგნთ-საცავით სარგებლობა; მესამე მიზეზი ის არის, რომ ქალაქის თვით მართველობა ძალიან ცოტასა ზრუნავს საზოგადოდ სახალხო განათლებისათვის და კერძოდ ამ წიგნთ-საცავისათვისო.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ პატივცემულის ხმოსნის შეხედულება სრული სიმართლეა. ქალაქს ერთად ერთი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი აქვს, რომელიც ნივთიერის მხრით ძალიან დაქვეითებულია; იგი მეტად შევიწროებულ მდგომარეობაშია: არა აქვს რიგიანი წიგნთ-საცავი, არა აქვს საჭირო სასწავლო ნივთები, არა აქვს მასწავლებლებისთვის სამასწავლებლო ოთახი, რომ გაკვეთილის შემდეგ მასწავლებელი დაჯდეს და თავისუფლად ამოისუნთქოს. ზამთარ-ზაფხულ მოსწავლეებიცა და მასწავლებლებიც თავისუფალ დროს, გაკვეთილსა და გაკვეთილს შუა, იძულებულნი არიან გარეთ აივანზედ იდგნენ და ქარისა და სიცივისაგან იბერებოდნენ და იყინებოდნენ!

მესამე სალაპარაკო საგანი ქალაქის თეატრის საქმე იყო. ქალაქის მოურავი ამტკიცებდა, რომ ჯერჯერობით თეატრს ქალაქისათვის არავითარი წმინდა შემოსავალი არ შეუძენია, როგორც ამას მრავალი ჰფიქრობსო; პირიქით, ქალაქი თავისის კასიდან საკმაო ფულს ხარჯავს თეატრის საჭიროებისათვისაო. ხოლო გამგეობის წევრმა ბ-ნმა ი. გ. ჩიმაკაძემ მოახსენა საბჭოს თეატრის შემოსავალ გასავლის ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ თეატრს ქალაქისათვის არავითარი ზარალი არ მიუცია, და სთხოვა საბჭოს დაენიშნა ხმოსნებისაგან კომისია, რომელიც დაწვრილებით გაეცნობა თეატრის შემოსავალ-გასავალს.

დიდი ბაასი გამოიწვია ეკლარის ქვის მადნის იჯარით გაცემამ. საქმე ის არის, რომ ქუთაისს აქვს მახლობლად საკუთარი ქვის მადანი, რომელსაც „ეკლარის ქვას“ ეძახიან. ეკლარის ქვა თავისის იშვიათის თვისებით შენობებისათვის საუკეთესო ქვად ითვლება მთელს საქართველოში. მტვრევის დროს იგი რბილია, რის გამოც ადვილი სამუშაოა, ხოლო შემდეგ ძალიან მაგრდება და დიდ ხანსა სძლებს. ამიტომაცაა, რომ დიდ ძალი ეკლარის ქვა მიაქვთ ტფილისს, ბათუმს, ქუთაისს და სხვაგან. ცხადია იგი ანდამატივით იზიდავს ყოველ იჯარადარს. ვიღაც გველესიანს იგი აუღია იჯარით სამის წლით, წელიწადში 2750 მანეთად. ამავე იჯარადარს, ეტყობა, მადა გახსნია, რადგან შემოუტანია ხელ მეორე თხოვნა, რომ ქალაქმა მისცეს მას ეს მადანი კიდევ ექვსის წლით. პირველი სამის წლის განმავლობაში ის ჰპირდება ქალაქს წელიწადში 3000 მ. იჯარას, ხოლო დანარჩენ წლებში 3500 მან. ყოველ წელიწადს. ამასთან დასძენს, ეკლარამდის რკინის გზის შტოს გავიყვანო. ხმ. პ. ა. თუმანიშვილმა ჰკითხა გამგეობას, იცით რამდენი ქვა გამოაქვს ჩვენს იჯარადარს ეკლარიდანო? გამგეობის წევრმა ბ ნმა გაბაშვილმა უპასუხა, რომ ძნელია ამ რაოდენობის გაგება, თუ იქ არ გვეყოლა სინიდისიანი კაცი, რომელსაც კარგი ჯამაგირი დაენიშნება, რომ თვალ-ყური ადევნოს გამოსატანის ქვის რაოდენობასო. ბ-ნმა თუმანიშვილმა ხელმეორედ გააფთხილა საბჭო და სთქვა, რომ ეს საქმე სახუმარო საქმე არ არის; ამას დაკვირვება და საფუძვლიანად შესწავლა უნდა; უცებ საქმის გადაწყვეტა დაუფიქრებლად დიდს შეცთომაში შეგვიყვანს და ქალაქს ამით საგრძნობელი ზარალი მოუვაო. ნუ დავივიწყებთ, ბატონებო, რომ ამ ათის წლის წინათ ჩვენ თვითონ ვეხვეწებოდით იჯარადარს ათი თუმანი იჯარა მოეცა ჩვენთვის, ეხლა კი თვითონ იჯარადარი გვეხვეწება და სამი ათას ხუთას მანეთს გვაძლევს; სჩანს, საქმე სარგებლიანი ყოფილაო.

ქალაქის მოურავმა სთქვა, რომ აქ შესასწავლი და დასაკვირვებელი მაგდენი არაფერიაო. ჩვენ თვითონ ვიყავით იქ და ვნახეთ; ორი-სამი თვე ჩვენს შინაურულს განკარგულებაში იყო ეს ქვის მადანი და მაგდენი არაფერი შემოსავალი არ მოუციაო. უმჯობესია იჯარადარს იმ პირობით მიეცეს, რა პირობასაც გვაძლევსო.

მღ. დ. ღამბაშიძეს სიტყვით ბევრგან ქვის მადნები გამოილია და შეიძლება, ჩვენმა იჯარადარმაც ცხრა წლის განმავლობაში სულ გამოლიოს ეს ძვირფასი ქვა. ცხრა წელიწადი დიდი ვადაა, ნაკლების ვადით მივცეთო.

ხმ. ა. ი. ფიფინოვი იმ აზრისაა, რომ უმჯობესია, იჯარადარს იჯარა გამოერთვას ქვის რაოდენობის კვალობაზე, მაშინ არც იჯარადარი იზარალებს და არც ქალაქი.

ხმ. დ. ბ. ხელთუფლიშვილმა განაცხადა, რომ რკინის გზის გაყვანა ეკლარის ქვის მადნამდის ფრიად სასარგებლო იქნება მარტო იჯარადრისათვის, რადგან იგი ამ გზის საშუალებით დიდ ძალს ქვას გამოიტანს და ამით დიდ ზარალს მისცემს ქალაქსო.

შემდეგ ყუთი დადგა ბ-ნმა ქალაქის მოურავმა და კენჭი უყარეს ამ კითხვას: მიეცეს იჯარით ბ-ნ გველესიანს კიდევ ექვსის წლით ეკლარის ქვა, თუ არა? მიცემის წინააღმდეგი აღმოჩნდა 23, თანახმა—11. ხმ. ო. გ. სვანიძემ ჰკითხა ქალაქის მოურავს: რა მიზეზია, რომ ქალაქს უნდა შემოსვლოდა 2000 მანეთი იმ ნომრების ფასად, რომელნიც დაურიგდა

---

დან არაფერი დაგვყოლია ნიჭისა და მეხსიერების მეტი, ესენი აწ უკეთ მომზადებულნი გვაქვს, მაშასადამე, ცხოვრება არ გაგვიჭირდება, ოღონდ მომე ხელი, საზოგადო ძალ-ღონით საერთო უღელი კისრად ვიდოთ! ნურა გეფიქრება; შეყვარებული, სატრფოსთვის თავდადებული, წამების გვირგვინს თავზედ დაიდგამს და თავისუფლად ზიდავს ამ გვირგვინს...“

სატრფო ხმას არა მცემდა; კარგად შევნიშნე, რომ მისი მკერდი ძლიერად ადიოდ ჩადიოდა... გული სწრაფად უცემდა, სახის კუნთები წუთის-წუთ ეცვლებოდა; თითქოს პირში ნერწყვი გაშრობიაო, ვერაფერს ამბობდა. .

„მითხარი რამ, ჩემო სიცოცხლევ!“ შავეხმაურე: „წრფელი, უანგარო სიყვარული პატივსაცემია, რომელსაც სამაგიეროს მიზღვევა ეკუთვნის... ნუ, ნუ მდუმარემ, დუმილით ტანჯვები მიორკეცდება“...

სატრფომ ნაზად შემომხედა, ხმა არ ამოუღია, მაგრამ მისმა თვალებმა მისის გულის საიდუმლო გადმომცა; სიტყვით მეტყველზედ ბევრი მაგრძნობინა; იმისს თვალებში სრული თანხმობა იხატებოდა: „მე შენ გეკუთვნი, მიყვარხარ!“ თითქოს ამას შემომფუჩუნებდა... გავდიდგულდი, ჩემი ფიქრები მზისა სხივებრ მოსპეტაკდა, სახეზედ ნათელი მომეფინა, არსებობა ჩემი ჰაერზედ მაღლა, უფრო მაღლა ვიგრძენ... ქვეყნიური ყოველივე დამავიწყდა...

სატრფოს დედა, ძველის აზრ-ფიქრის მანდილოსანი, ცოტა მოშორებით მჯდარი, საუბარს მისმენდა და შვილის მოძრაობას თვალ-ყურს ადევნებდა.

— ძალიან კარგად ლაპარაკობ, ჩემო შვილო, მაგრამ ღარიბი ხარ, რითი იცხოვრებ?

სატრფოს მიჩერებოდი, პასუხს მისგან ველოდი,—დედასთან რა საქმე მაქვს! მას ცხოვრებაში გამოსვლის დროს სხვა ანგარიშები ჰქონდა, სხვა გარემოება ერტყა გარს, ჩვენ ახალ დროების შვილნი ვართ, სხვა ვითარებაში ვიმყოფებით... მე სიყვარულის სამაგიეროს ვითხოვ და არა კუჭის საზრდოს...

სატრფო სდუმდა...

დედის სახე კვლავ კითხულობდა: რითი იცხოვრებო...

სხეულში შიშის მძაფრი ჟრუანტელი მივლიდა, თანხმობას ვერა ვხედავდი და პასუხის მიცემა მიძნელდებოდა...

დედა კვლავ შემომაჩერდა:—რით იცხოვრებ?

— სიყვარულით!.. ვუპასუხე ძალდატანებით.

— სიყვარულით?!. ხა, ხა, ხა!.. არა კმარა, საცხოვრებელი გინდათ!..

სატრფო მდუმარებდა...

შენ, შენ რას მეტყვი, ჩემის ტრფობის საგანო, ჩემო სატრფიალოვ!

მან მორცხვად, სახეზედ ღრუბელგადაკრულმა, შემომხედა საიდუმლოებით მოცულის თვალებით და ბაგეთა ოდნავის დაძვრით შემომეკითხა:

— რითი ვიცხოვრებთ?..

სატრფოს კითხვამ ელვასავით დამიარა სხეულში, თავს რეტი დამესხა, დავტორტმანდი, კინაღამ წავიქეცი... დედამ გადიხარხარა... სიკვდილის სუსხმა შემიპყრო, შევკრთოლდი...

— დამცინეთ, სასაცილოთ ამიღეთ, ბედნიერად იყავით, მე-კი, მე!.. ოჰ, ღმერთო! უნდა ტანჯვაში დავლიო დღენი! იხარხარეთ ადამიანის გრძნობის შეუგნებელნო!..“

ისე სწრაფად, სასტიკად შეიცვალა ჩემ წინ ხილული ქვეყანა, ისე საზარლად მომეჩვენა ყოველივე, რომ არ მეგონა თუ ჯოჯოხეთში ამაზე მეტი წამება ჰსუფევდა...

რიგიანად არ მახსოვს, ფეხი როგორ გამოვდგი სახლიდგან..

მდინარის შხუილი ჩემს ფიქრთა სრბოლას უერთდებოდა, წყლისაგან მონაბერი სიო გახურებულს შუბლს მიგრილებდა, აზრი ერთს წერტილზე შეჩერებოდა და ჩემს გმინვაში მხოლოდ ეს-ღა ისმოდა:

— ოჰ, უბედურო, ჩემო თავო!.. ვინც გიყვარს... რომლისთვისაც შენი სიცოცხლე გადაგიდვია, გულცივად გეგებება!.. და ამის შემდეგ: მართლაც, რა უნდა ჰქმნას უსიყვარულოდ... უთანაგრძნობოდ... შიშმა მომიცვა, კანკალს შევეპყარ და ირგვლივ ყოველივე, ყოველი მეზიზღებოდა...

უსიყვარულოთ გავღარიბდი...

მდინარე-კი მდინარებდა, რომლის შხუილით ერთად დრო-გამოშვებით მომშხამველის კილონი იდუმალად მესმოდა:

ღარიბი ხარ, რითი იცხოვრებ?!.

იმედი

მცხოვრებლებს სახლებზე მისაკრავად და შემოსვლია მხოლოდ 500 მანეთიო. ქალაქის მოურავმა უპასუხა, რომ ჩვენ რამდენჯერმე ვთხოვეთ პოლიციის შემწეობით მცხოვრებლებს, მაგრამ იმათ არ შემოაქვთ ეს ფულიო.

შემდეგ ექიმმა ს. ბ. თოფურიამ წაიკითხა წერილი პროფესორის პეტრიაშვილისა, რომელსაც მეცნიერულად გამოუკვლევია მდ. რიონის წყალი. წერილიდან სჩანს, რომ რიონის წყალი ძალიან კარგის თვისების სასმელი წყალი ყოფილა.

ზიარელი

# დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბები)

**მცხეთა.** 20 დეკემბერს მოხდა წლიური კრება მცხეთის საზოგადოების წიგნთ-საცავისა. კრებაზე დაესწრო 22 კაცი.

წიგნთ-საცავის გამგემ ქ-ნ სოფიო ციციშვილმა წარმოადგინა ანგარიში წარსულის წლის შემოსავალ-გასავლისა. საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა ქ-ნ სოფიო ციციშვილს ერთგული და კეთილ-სვინიდისიერ მოქმედებისათვის და შემდეგ ერთხმად სთხოვა იგივე ყოფილიყო გამგეთ წიგნთ-საცავისა მომავალ წელსაც, რაზედაც მან თანხმობა გამოაცხადა.

აგერ ეს მეოთხე წელიწადია, რაც ქ-ნი ციციშვილი არის გამგეთ ზემოხსენებულის წიგნთ-საცავისა და კაცი ვერ იტყვის, რა თავგ განწირულობით ემსახურება ამ კეთილ საქმეს. უნდა ნახოთ, როცა საღამოხანზედ ზის ხოლმე ეს პატიოსანი ადამიანი და ორმოცამდის მოზარდი, აქაური სკოლის შეგირდები, ახვევია გარს. ზოგს წიგნს აძლევს, ზოგს დაბრუნებულ წიგნის შინაარსსა ჰკითხავს და ზოგსაც, უფრო პატარებს, არაკებს ეუბნება.

ქ-ნ სოფიო ციციშვილისავე წინადადებით იმართება ხოლმე აქ საკვირაო კითხვები, და აქაც უმთავრეს მონაწილეობას იგივე იღებს.

პატივის ცემა და სიყვარული, რომელიც მოიპოვა ქ-ნმა ს. ციციშვილმა მცხეთის მოზარდ თაობაში, იშვიათია და საშურველი.

მცხეთის მედუქნეებს ერთი ალიაქოთი უდგათ და ჯვარისაგან აქეთ-იქით აწყდებიან: გუბერნატორისაგან ბრძანება მოსულაო, რომ მცხეთაში ორი მიკიტნის დუქნის მეტი არ უნდა იყოსო. ამბობენ, გინდა დუქნები დაუკეტნიათ და გინდა ყელები გამოუჭრიათ ჩვენთვისაო. შეიძლება, ეხლა მაინც ეს „დედა ქალაქი“, რომელიც „სამიკიტნოთ გამხდარა“, გონზე მოვიდეს.

ჩვენი ახალი ბოქაული ძალიან კაი აზრებით არის გამსჭვალული და საზოგადოებისათვის ბევრს კარგს საქმესა ჰფიქრობს. ღმერთმა ქნას, თორემ რაც გუგუშვილი წავიდა, მას აქეთ ოთხი ბოქაული გამოიცვალეთ და საზოგადოებისათვის რიგიანი არავის არა უზრუნვია-რა.

ა. მ.

# რუსეთი

ზოგიერთ გუბერნიებში შეუმჩნევიათ, რომ გლეხ-კაცები ბინადრობას არ იცვლიან, ისევ სოფელში სცხოვრობენ და მოქალაქეთა წოდებაში-კი (мѣщанское сословіе) ჩაეწერებიან ხოლმე. ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ სცდილობენ სხვადა სხვა გადასახადი აიცდინონ თავიდგან. სოფელს-კი ასეთი გადაწერა მძიმე ტვირთად აწვება: ის გადასახადი, რომელსაც მოქალაქეთა წოდებაში ჩაწერილი იხდიდა, სოფელმა უნდა გარდაიხადოს. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ამიერიდგან აუკრძალონ ყველა გლეხს მოქალაქეთა წოდებაში ჩაწერა ხოლო ვინც ჩაეწერა, იმას ჩამოერთვან სანადელო მიწები და აიძულონ ბინადრობა გამოიცვალოს.

— ფინანსთა სამინისტრომ გადასწყვიტა გადასდოს 10,000 მანეთი მომავალს წელს პეტერბურგში ფრინველთა გამოფენის გასამართავად.

— მომავალის 1899 წლის პირველ იანვრიდგან აზრადა აქვთ გამოსცენ განსაკუთრებული გაზეთი უსინათლოთათვის.

— სამხედრო სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ კადეტთა კორპუსებში შემოღებულ იქმნას ბალონობის სწავლება.

— ფინანსთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი. სამინისტრო უკვე შესდგომია პროექტის შედგენას. აზრადა აქვთ სასწავლებელი ოდესაში დააარსონ.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საიდუმლო დოსიე, რომელიც საკასაციო პალატას გარდაეცა, 1000—1500 საბუთის ქაღალდისაგან შესდგება თურმე. მაგრამ ყველა ქაღალდი დრეიფუსს როდი ეხება; ბევრი მათგანი, თითქმის უმრავლესობა, სულ სხვა საქმეებს შეიცავს, რომელნიც მთავარ შტაბის საიდუმლო ბიუროს უწარმოებია. მაშასადამე კავენიაკი მართალი ყოფილა, როცა ამბობდა, რომ დოსიე ათასზედ მეტს საიდუმლო ქაღალდს შეიცავსო; მაგრამ ისინიც რამდენიმედ მართალი ყოფილან, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ საიდუმლო დოსიე სავსებით არ ეხება დრეიფუსსო.

საფრანგეთის საზოგადოების ერთი ნაწილი ძლიერ აშფოთა იმ გარემოებამ, რომ მთავრობამ საიდუმლო დოსიე საკასაციო პალატას გარდასცა, რომელმაც თავისის მხრით დრეიფუსის სახლობის ვექილს ბ-ნ მორნარს უნდა გაასინჯოს იგი. საზოგადოების დასამშვიდებლად „Agence Nationale“-ში მთავრობა აცხადებს შემდეგს:

ცნობილია, რა პირობითაც და რა სიფრთხილით ვუგზავნით საკასაციო პალატას ყოველ დღე საიდუმლო დოსიეს. ხოლო რაც შეეხება მორნარს, მას დაავალა საკასაციო პალატამ, დიდის სიფრთხილით მოეპყრას საიდუმლო ქაღალდებს და მისი შინაარსი არამც და არამც არ გაუგებინოს სხვას. ბ-ნი მორნარი სასტიკად ასრულებს სასამართლოს გარდაწყვეტილებას; მის სამუშაო ოთახში შესვლა აღკრძალული აქვთ არა მარტო მის ნაცნობებს, არამედ მისი ოჯახის წევრთაცო.

— როგორც ვიცით, ამ დღეებში ხმა გავრცელდა, რომ დრეიფუსი უნდა დაბრუნდეს ეშმაკის კუნძულიდგანაო. ამ ხმამ ძლიერ ცუდი გავლენა იქონია საფრანგეთის დიდძალს საზოგადოებაზედ, მაგრამ მომეტებულად-კი მხედრობაზედ. ვინ იცის, იქნებ ამ ხმამაც გამოიწვია, იმოტელდა აფიცრობამ რომ ხელი მოაწერა ანრის ქვრივის სასარგებლოდ „Libre Parole“-ში. რესპუბლიკის მთავრობა, როგორც სჩანს, რამდენიმედ შეუფიქრიანებია საზოგადოებისა და ჯარის უკმაყოფილებას. ახალშენთა მინისტრი აცხადებს, რომ დრეიფუსის განთავისუფლება შეუძლიან იკისროს საკასაციო სასამართლოს და მხოლოდ ის იქნება პასუხის მგებელი ამ საქმეში; სამინისტრო აქ თავისუფალია და არაკითარი ბრალი არ ედება მასო, მაგრამ მიუღია-რა მხედველობაში ჯარის შფოთება, მთავრობას წინადადება მიუცია საკასაციო პალატისთვის, რომ დრეიფუსის უდანაშაულობა თუ დამტკიცდეს, ეშმაკის კუნძულზედ განსაკუთრებული კამისია გაიგზავნოს, რომელიც გამოუცხადებს დრეიფუსს პალატის განჩინებასო. ამის შემდეგ დრეიფუსი რომელიმე საკომერციო გემით დაბრუნდება ევროპაში, მაგრამ საფრანგეთში მოსვლის ნება-კი არასოდეს არ უნდა მიეცესო.

—

**კრიტი.** ეროვნული კრება, როგორც იუწყებიან, 8 იანვარს უნდა მოხდეს კრიტში. კრება შესდგება 185 კაცისაგან, რომელთა შორის 32 მაჰმადიანი იქმნება. კრების თავმჯდომარის თანამდებობას შეასრულებს სფაკიოტაკი. კანონ-პროექტთა შორის, რომელნიც კრებამ უნდა განიხილოს, ერთი პირველ ადგილთაგანი უჭირავს კანონ-პროექტს ქვეს სამოსამართლო პალატის დაარსების შესახებ, რადგან საერთაშორისო სასამართლო თავისს მოქმედებას მოსპობს მომავალს თებერვალში.

—

**მაკედონია.** მაკედონიის ბოლგარელ კომიტეტებს უკანასკნელ ხანებში რამდენიმე კრება ჰქონიათ სოფიაში და სურვილი გამოუთქვამთ, დიდ სახელმწიფოებს თხოვნით მიამართოთ მაკედონიის საქმეების შესახებო. როგორც საზოგადოდ ჩვეულებად აქვს, ეხლაც ოსმალეთის მთავრობას აღუთქვამს, ქრისტიანეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებანი იქმნება მიღებული მაკედონიაშიო. ჰფიქრობენ, რომ მაკედონიის მთავარ-მართებლად იქნებ ბერძენი კარათეოდორი-ფაშა იქმნეს დანიშნული, ხონთქრის უფროსი თარჯიმანიო. მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, რომ იტყვიან, ოსმალეთის მთავრობაც ისე იქცევა. მას ეჭვი აქვს, იქნებ ჩემი დაპირება არ დაიჯერონ მაკედონელებმაო და ყოველ შემთხვევისთვის თადარიგს იჭერს: ბევრს ადგილას მაკედონიაში ჟანდარმების რაზმს უმატებს და კრილიკში, სერბიის საზღვრებზედ, ახალი სიმაგრეები და ყაზარმებიც-კი კეთდება თურმე.

## სასამართლოს მატიანე

(შტაბს-კაპიტანის ვორონკოვის მოკვლის საქმე)

22 დეკემბერს კავკასიის ოლქის სასამართლო შეუდგა შტაბს-კაპიტანის ვორონკოვის საქმის განხილვას. ბრალი ედებოდათ: გორის სათადარიგო ქვეითა ჯარის უნტერ ოფიცრებს აკქსენტი ღოღობერიძეს და კირილე გამსახურდიას და იმავე რაზმის ჯარის კაცთ სიმონ ენდელაძესა და კონსტანტინე ბაკურაძეს. გარდა ამასა ღოღობერიძეს ედებოდა კიდევ იმისი ბრალი, რომ ჯარის ნივთები მიითვისა, ღირებულ 3,675 მანეთად და 10 კ. და ეს ფული გაფლანგა.

სამართალში მიცემულ იქნა აგრეთვე გორის მცხოვრები მაკა ამერიძისა, რომელსაც ბრალი ედებოდა, რომ ღოღობერიძისაგან ყიდულობდა ნივთებს, თუმცა იცოდა-კი, რომ ის ნივთები ხაზინისა იყო.

თავმჯდომარედ იყო პოლკოვნიკი ლევაშოვი, ბრალსა სდებდა სამხედრო ბრალმდებელის თანაშემწე პოლკოვნიკი რატინსკი. ბრალდებულთ იცავდნენ კაპიტანი ბულატოვიჩი და შტაბს-კაპიტანი მალიშკოჩი. სასამართლოს დარბაზი ხალხით იყო სავსე.

ამ საქმის გარემოება ასეა აწერილი საბრალმდებლო ოქმში.

1898 წელს, 3 აგვისტოს დილით გორის მცხოვრები ნიკოლოზ ამერიძე წავიდა მტკვრის ნაპირას თევზის საჭერად და ჰნახა წყლის პირას კაცის გვამი ოფიცრის ტანისამოსით. ამერიძემ ეს ამბავი პოლიციის ბოქაულს შეატყობინა. გვამი აღმოჩნდა შტაბს-კაპიტანის ვორონკოვისა. მკურნალებმა გვამი გასინჯეს და სთქვეს, შტაბს-კაპიტანი ვორონკოვი ჯერ მოუკლავთ და მერე გვამი მტკვარში გადაუგდიათო.

მტკვრიდგან ასე სამის ვერსის მანძილზე ერთს ადგილას სისხლის გუბე ჰნახეს და იქიდგან მტკვრის ნაპირამდე სისხლის კვალი მისდევდა. ერთს ადგილას კიდევ განსვენებულის ქუდი იპოვნეს.

ვორონკოვის მეუღლემ სთქვა სასამართლოში, რომ 2 აგვისტოს ჩემი ქმარი წავიდა სახლიდგან, თან წაიღო რევოლვერი და რკინის კეტი და მერე სახლში აღარ დაბრუნებულა. ღამის 11 საათზედ ძლიერ შევწუხდი, რომ ჩემი ქმარი შინ აღარ დაბრუნდა, შევედი იმის კაბინეტში და წერილი ვნახე რაზმის ადიუტანტის სახელობაზე. წერილი გავხსენი და წავიკითხე. სწერდა: ხაზინის ნივთებს ვიღაცა იპარავს, ორჯერ წაველ ქურდების საყარაულოდ და დღესაც მივდივარ. თან მიმყავს ღოღობერიძეო. ცოტა დავმშვიდდი და დავიძინე. დილით მითხრეს, ღოღობერიძე მოვიდა და ცეიხჰაუზის გასაღებსა გთხოვთო. ქმრის მოკვლის ამბავი შევიტყე მხოლოდ დილის 10 საათზე ბოქაულისაგან. მე ასე ვფიქრობ, რომ ჩემი ქმარი ღოღობერიძემ მოჰკლა, სხვა არავინაო.

ის გარემოება, რომ შტაბს-კაპიტანი ვორონკოვი მართლა ჰყარაულობდა ქურდებს, მოწმეების სუმბიონოვისა და კოლოტუხინის ჩვენებითაც მტკიცდება.

ფერშალმა ფავლენიშვილმა მოახსენა კაპიტანს ამილახვარს, რომ ვორონკოვის მოკვლის საქმეში დამნაშავენი არიან: ღოღობერიძე, გამსახურდია, ენდელაძე და ბაკურაძე. უწინ იმიტომ არ მოგახსენეთ ესა, რომ მეშინოდაო. 2 აგვისტოს საღამოთი ღოღობერიძემ მითხრა: ვორონკოვი მე მოვკალიო; მეორე დღეს-კი ენდელაძემ მითხრა, ღოღობერიძემ გვიბრძანა მე და ბაკურაძეს ვორონკოვის გვამი წავეღო და მტკვარში გადაგვეგდოო.

სხვა მოწმეთა ჩვენებითა და თვით ბრალდებულთა ჩვენებითაც დამტკიცდა ყველა ბრალდებულთა დანაშაული ამ საქმეში, გარდა მაკო ამერიძისა. სასამართლომ შემდეგი განაჩენი დაადგინა: ღოღობერიძე სიკვდილით იქმნეს დასჯილი; ენდელაძე და ბაკურაძე გაგზავნილ იქმნენ კატორღაში, გამსახურდია გაგზავნილ იქმნეს ზნეობის გამასწორებელ ბატალიონში. მაკო ამერიძე-კი სასამართლომ მართლად სცნო. („კავკასი“).

სარდიონ ალიბეგოვის საქმე.

ამ წლის თებერვალში რკინის გზის სადგურზე ტფილისში, გორის მაზრის სოფ. ზღუდერის მცხოვრებს სარდიონ ალიბეგოვს ფული უნდა ამოეცალა ჯიბიდგან ერთის სპარსელისათვის. როგორც თვით სპარსელმა სთქვა, ჯიბეში ერთის მანეთის მეტი არა ჰქონდა. ალიბეგოვი სამართალში მისცეს და სასამართლომ მიუსაჯა ასტრახანის გუბერნიაში გადასახლება. ალიბეგოვმა საქმე გადიტანა სამოსამართლო პალატაში და სთხოვა, მე მეტის სასჯელის ღირსი ვარ და ამიტომ გთხოვთ შორეულ ციმბირში გადამასახლოთ, სახელდობრ კლადივოსტოკში. გარდა ამისა გთხოვთ მიიღოთ ჩემგან ორასი დღიურზე მეტი მიწა, რომელიც გორის მაზრაშია და სამაგიეროდ მომცეთ სახელმწიფო ადგილები კლადივოსტოკში და აგრეთვე შემწეობა აღმოაჩინოთ ფულითაო.

პალატამ ეს საქმე განიხილა 23 დეკემბერს. ბრალდებული ალიბეგოვი თითონ გამოცხადდა და სთხოვა სასამართლოს: გამგზავნეთ შორეულ ციმბირში, კლადივოსტოკში. მინდა რაც შეიძლება შორს გავცილდე გორელ საზიზღარ კაცებსაო...

პალატამ ალიბეგოვის თხოვნა არ შეიწყნარა და ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

—

მასწავლებლის ჩიხლაძის საქმე.

21 დეკემბერს ქ. ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლესთან დანიშნული იყო განსახილველად საქმე ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებლად ნამყოფის რაფ. ჩიხლაძისა, რომელიც ხსენებულ სასწავლებლის მზრუნველს დ. ნ. ბაქრაძეს უჩიოდა, — მასწავლებლობიდგან დამითხოვა და ოფიციალურ ქაღალდში ჩამიწერა, ვითომ „მე არა-საქებური ხასიათი მაქვს, რაიც გამოიხატა იმით, რომ უთანხმოება დავბადე მასწავლებელთა შორის და ამან-კი შეიძლება ცუდად იმოქმედოს სასწავლებლის მოსწავლეებზედაც“-ო. საჩივრის საბუთად ჩიხლაძე ამ მიწერილობას ასახელებს. შეიძლება ამ მიწერილობამ ჩემი სამსახურში დაწინაურება შეაფერხოს, რადგანაც მე სასულიერო სასწავლებელში ვმსახურებო. რადგანაც ბრალდებული არ გამოცხადდა, საქმე გადაიდო. („ახ. მიმ.“).

# დამაკვირდი

ვინც ერთბაშად ვერ გარდასწყვეტს ისე ცხოვრებას, როგორც თითონ უნდა, და ამ გარდაწყვეტილებას მაშინვე ვერ აღასრულებს, ის საუკუნოდ სხვისი მონა იქნება.

ლესსინგი

* * *

უკეთეს არს სიმდიდრე სულისა, ვიდრე ნივთთა სხვათა შეძენება.

მიტროპოლიტი იონა

* * *

გაუფრთხილდი, ჭაბუკო კაცო, მხცოვანსა გმოთ მოუყვარებასა და შექცევასა, რომელსაცა გირჩევენ შენ როსკიპნი დიაცნი.

გიორგი ჯანთიშვილი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პეტერბურგში ამ ჟამად იყიდება საზღვარ გარედ გაკეთებული საფერფლეები, რომელიც ძლიერ გამოსადეგია ოჯახში. საფერფლე ისეა გაკეთებული, რომ თუ ერთს მხარეს კაცმა პაპიროსი მიადვა, იმ წამსვე მოეკიდება პაპიროსს და თუ მეორე მხარეს ანთებული პაპიროსი მიადვა, იმ წამსვე გაქრება.

* * *

ერთის გემის მეხანიკოსს ბ-ნ რუდზევსკის გამოუგონია შემდეგი ახალი მანქანა, რომელიც უეჭველია ძლიერ მოეწონებათ ეტლების პატრონთ. ეს მანქანა ისეა გამართული, რომ რამდენ ვერსსაც გაივლის მეეტლე, მანქანა იმდენს ვერსს აღნიშნავს ყუთში მიმაგრებულს საათზე. ასე რომ მეეტლეს აღარ შეეძლება მოტყუილება ეტლის პატრონისა, რომელიც მანქანის შემწეობით ადვილად გაიგებს, რამდენი ვერსი გაუვლია მეეტლეს და, მაშასადამე, რამდენი ფული აუღია.

* *

სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტისათვის ერთს ინჟენერს, გვარად დობროტვორსკის მიუმართავს და წარუდგენია თვის მიერ გამოგონილი სულ ახალი მანქანა კინემატოგრაფისა. ამ კინემატოგრაფს ის ღირსება აქვს, რომ თითოეული სურათი თვის ბუნებრივს ფერს არა ჰკარგავს.

* * *

ქალაქ ბეზანსონში ძეგლს უგებენ საფრანგეთის სახელოვანს მწერალს ვიქტორ ჰიუგოს. ძეგლისათვის საჭირო ფულს ხელის მოწერით აგროვებენ. ხელის მოწერაში მონაწილეობას იღებენ: გრაფი ტოლსტოი, იბსენი, ბიერნსონი, კარმენ სილვა და დანუნციო.

* * *

ლონდონიდგან იწერებიან: ამ დღეებში მომხდარმა ქარიშხალმა და ღელვამ დიდი ზარალი მისცა ქალაქს. ყველა მხრიდგან ამბები მოდის, რომ წყალმა ნაპირები წალეკა. მდინარე ტემზაზე რამდენიმე გემი ერთმანერთს დაეჯახა და დაშავდა. ერთი გემი დაიღუპა კიდეც.

* * *

ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორებმა გამართეს უფასოდ ლექციები მდაბიო ხალხისათვის. ლექციებს პროფესორები კითხულობენ კვირაში ოთხჯერ. ლექციებზედ 3000 კაცამდე თავს იყრის, მათ შორის ყველაზე მეტი ქარხნების მუშები არიან, ნოქრები, ხელოსნები და სხვ. ლექციების შემდეგ ჩამოვარდება ხოლმე კამათობა და ბაასი სხვა და სხვა საგნებზე.

* * *

ინგლისელები ძლიერ არიან გახარებულნი ერთის ამბით, რომელიც შეიძლება ბევრს უმნიშვნელო ამბად მიაჩნდეს, მაგრამ ნამდვილად-კი ეს ამბავი მნიშვნელობას არ არის მოკლებული. შობა დღიდგან მთელს ინგლისში შემოღებულ იქმნა სახმარებლად ფოსტის მარკა, ღირებული ერთ პენსად (პენსი ხუთ გროშზე ნაკლებია); ამ მარკით წერილი გაიგზავნება ბრიტანიასა და იმის ახალშენების შორის, რაც უნდა მოშორებული იყოს ახალშენი.

ეს მარკა ჯერ ისევ 1890 წლიდგან არის ხმარებაში, მაგრამ ამ მარკით წერილები თვით ინგლისიდგან ახალშენებში არ იგზავნებოდა; ინგლისელები დიდხანსა სთხოვდნენ მთავრობას, ახალშენებშიაც ამ მარკით გაიგზავნოს წერილებიო და ეხლა გულის წადილი აუსრულდათ.

## დეპეშა

24 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** 23 დეკემბერს პაულის სამხედრო სასწავლებლის ასის წლის იუბილეისა და ახლად ნაბოძევ დროშის კურთხევის გამო, საინჟენერო ბანეჟში, ხელმწიფე იმპერატორის თანადასწრებით, მოხდა სასწავლებლის საეკკლესიო პარადი. წირვის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა დიდ მთავრებთან ერთად წინ გაუარა იუნკრებს. შემდეგ მისი უდიდებულესობა უკან დაბრუნდა. ყველა აფიცრებმა და იუნკრებმა დროშის წინ ფიცი მიიღეს.

**სამარა.** „სამარის“ საქონლის სადგურზედ მოკლულ იქმნენ კანტორშჩიკი და დარაჯი. ბოროტ-გამზრახველთ მოიპარეს 10,000 მანეთი.

**კანეა.** აპოკორონის ქრისტიანეთ გადასცეს მოხელეთ 3,000 სათოფე იარაღი.

საეროზო კრება დადგენილ ვადაზედ გვიან იქმნება მოწვეული. ბატონიშვილს გიორგის თათბირი ჰქონდა სოლონიკში მყოფ საბერძნეთის ელჩ პაპადიამანტოპულოსსა და სფაკიანაკისთან.

**კელნი.** „კელნის გაზეთში“ დაბეჭდილია ამოიდგან მოსული ცნობა: ათმა აქაურმა ჩინელმა ვაჭარმა მოისურვა გერმანიის ქვეშევრდომად ჩაწერა, რადგანაც მანდარინები ძალიან გვავიწროვებენ და დიდ ფულს გვართმევენო. ვაჭრებმა მიჰმართეს გერმანიის ელჩს და სთხოვეს, თქვენ მფარველობის ქვეშ მიგვიღეთ, ნება მოგვეცით მივაკრათ ჩვენ სახლებს ფიცარი „გერმანიის ვაჭრები“-ს ზედ წარწერით. ელჩი დაჰპირდათ, ამ საქმეს მთავრობას გარდავცემ განსახილველადაო.

26 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: კიევის მიტროპოლიტი იოანიკე დანიშნულ იქმნას უწმ. სინოდის პირველ წოდებულ წევრად. ფინლანდიის მთავარ-ეპისკოპოსი დანიშნულ იქმნას პეტერბურგის მიტროპოლიტად. კონტრ ადმირალი კუზმიჩი დანიშნულ იქმნას შავის ზღვის ფლოტის შტაფის უფროსად.

**ვეი ჰაი-ვეი.** ინგლისის მთავრობამ ვადასწყვიტა შეიძინოს ნავთსადგურის შესავალთან მდებარე კუნძულის მთელი დასავლეთი მხარე.

**ქაირო.** პოლკოვნიკმა ლევისმა დაამარცხა ემირი ფედილი. მოკლულ იქმნა 50 დერვიში, დაჭრილი მრავალია; 1500 კაცი ტყვედ წაიყვანეს. ინგლისელების მხრივ მოკლულ იქმნა 27 ჯარის კაცი, დაჭრილ: 1 ინგლისელი და 6 ეგვიპტელი აფიცერი და 110 ჯარის კაცი.

**მასსოვა.** რასს მანგაშამ დაიჭირა ადდა-გამუსთან გამაგრებული ადგილი. რასს მაკონენი ამ ადგილიდგან ორის საათის სავალზედ დგას. მენელიკი მოვიდა დელანეში, რომელიც მაგდალის ჩრდილოეთით მდებარეობს.

**პარიჟი.** სამოსამართლო წრეებში ამტკიცებენ, რომ არ არსებობს განსაკუთრებული საიდუმლო dossier-ი, რომელიც ვითომ სასამართლოსთვის არ გადაეცეთო. იმასაც უმატებენ, რომ არ არსებობს არავითარი წერილი იმპერატორის ვილჰელმისა დრეიფუსის მიმართ გაგზავნილი და არც დრეიფუსის წერილი იმპერატორთან გაგზავნილიო.

27 დეკემბერი

**ლონდონი.** „Times“-ს ატყობინებენ ტოკიოდგან, რომ აქ კაბინეტის გამოცვლას მოელოდებიანო.

**პარიჟი.** „Journal“ ამბობს, რომ ამ ჟამად საკასაციო პალატის წევრნი იმავე აზრისანი არიან დრეიფუსის დანაშაულობის შესახებ, რა აზრისაც სამხედრო მინისტრები იყვნენო.

**პეკინი.** ამერიკის ელჩმა წინადადება განაცხადა იმისა, რომ საფრანგეთს ან რომელსამე სხვა სახელმწიფოს კონცესსიის გაფართოვების ნება მიეცეს. ინგლისის ელჩმა წინააღმდეგობა განაცხადა სამთო მრეწველობის და რკინის გზათა შესახების ახალი დადგენილების გამოქვეყნების გამო.

28 დეკემბერი

**პეტერბურგი.** 26 დეკემბერს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული ბრძანდებოდნენ სასახლის საჯინიბო უწყების მანეჟში, ცარსკოე სელოში, სადაც შობის ხე იყო გამართული მისის უდიდებულესობის საპატიო დარაჯის ჯარის კაცთათვისა, გვარდიის ბათალიონისა და სასახლის პოლიციისათვის.

**პარიჟი.** იუსტიის მინისტრს მიუვიდა კენე დე-ბორეპერიდგან წერილი, რომლითაც ბორეპერი უარჰყოფს საკასაციო პალატის თავმჯდომარეობას, ვინაიდგან უთანხმოება მოხდება საკასაციო სასამართლოს მიერ დაწყებულ გამოძიებისა გამო.

გაზეთები სწერენ მადაგასაკარის საქმის გამო და დასძენენ: „როგორც ეტყობა, ინგლისმა გადასწყვიტა ჩვენთან ბრძოლა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ საგერ ომისათვის“.

### წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ილარიონ ლიპარის ძეს ლოლობერიძეს, რომელმაც კეთილ-ინება და შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ ფოთის ორ-კლასიან სკოლას საეკკლესიო სკოლას ასი მანეთი და ბ-ნ გიორგი ღვინჯილიას, რომელმაც დაუკვეთა ამავე სკოლას თვიური ჟურნალი „ჯეჯილი“ 1898 წლისა.

ფოთის ორ-კლასიან სკოლის უფროსი მასწავლებელი ანასტასია ივანეს ასული კოტეტიშვილი

## განცხადებანი

### ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის წესდების მე-14 §-ის თანახმად, შეცვლილისა და დამატებულის „მთავრობის კანონდებულებათა და განკარგულებათა“ 1898 წლის მე-82 და 114 №№-ში განცხადებულისამებრ, ამით აცხადებს, რომ 1899 წლის 3 თებერვალს ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი ქონებანი ქვემო ხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახდელების შემოუტანლობისათვის. ამ ქონებათა ვაჭრობა დანიშნული იყო 1898 წლის 21 დეკემბერს, მაგრამ ეს ვაჭრობა, რადგანაც იმ განცხადებაში, რომელიც ვაჭრობის შესახებ იუწყებოდა, შეცდომა შეიპარა, გადადებულ და დანიშნულ იქმნა ხელ-ახლად 1899 წლის 3 თებერვლისათვის.

თუ 1899 წ. 3 თებერვალს მამულები არ გაიყიდა, ბანკის წესდების მე-20 § ს თანახმად დაინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 1899 წლის 19 თებერვალს.

ვინც მოისურვებს ქვემო-დასახელებულ მამულების შეძენას ვაჭრობით, უნდა წარადგინოს თვითეულ მამულზედ აღნიშნული დარჩენილი გარდასახადი, აგრეთვე თუ აღმოჩნდა დარჩენილი საერობო და სახელმწიფო გარდასახადები, ამის გარდა კიდევ თავნი ვალი $10^{0}/_{0}$, ხოლო დანარჩენი ნასყიდობის ფული უნდა წარადგინოს ვაჭრობის დღიდგან თოთხმეტის დღის განმავლობაში.

ჯორჯაძე მიხეილ ნოდარის ძე და კონსტანტინე სოლომონის ძე (ნოდარ მიხეილის ძის ჯორჯაძის მიერ შეძენილი 1893 წლის 21 ოქტომბერს მომხდარ ვაჭრობის დროს) ვენახი, მიწა ზომით 3 დეს. 2160 ოთხ კუთ. საჟ., ტფილისის გუბ. თელავის მაზ. სოფ. საბუესთან. თავნი ვალი 2000 მ., შესატანი გარდასახადი 303 მ. 92 კ., სულ 2303 მ. 92 კ.

ვაჩნაძე ივანე ბაადურის ძე: 2 ვენახი, მიწა ზომით 2 დეს. 2021 ოთხ-კუთ. საჟ., ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზ. სოფ. ბაკურციხეში. თავნი ვალი 520 მ., შესატანი გარდასახადი 20 მ. 78 კ., სულ 540 მ. 78 კ.

გიუნაშვილი სოლომონ გიორგის ძე: ვენახი და სახნავი ადგილები; მიწა ზომით 1 დეს., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ტფილისის გუბერ. გორის მაზ. სოფ. დღვირისში. თავნი ვალი 68 მ., შესატანი გარდასახადი 9 მ. 90 კ. სულ 77 მ. 90 კ.

ანდრონიკაშვილი გიორგი ზაქარიას ძე. საძოვარი ადგილები, ბაღი და ტყე, მიწა ზომით 9 დეს. 1410 ოთხკ. საჟ. ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზრა, აგარაკ მელაანში. თავნი ვალი 700 მ., შესატან-გარდ. 36 მ. 68 კ., სულ 736 მ. 68 კ.

ვახნაძე ივლიტე მიხეილის ასული: 2 ვენახი, მიწა ზომით: გირავნობის მოწმობით 5 დეს., ხოლო დაფასებით 4 დეს. 800 ოთხ კ. საჟ. ტფილისის გუბ. თელავის მაზ. სოფ. ყვარელში თავნი ვალი 840 მ. შესატან-გარდ. 29 მ. 26 კ., სულ 869 მ. 26 კ.

ადატო-ვახნაძე ივანე გრიგოლის ძე: 3 ვენახი, მიწა ზომით 7 დეს. ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზრა სოფ. ბაკურციხეში. თავნი ვალი 960 მ., შესატან-გარდასახადი 59 მ. 32 კ. სულ 1019 მ. 32 კ.

ჯავახიშვილები, ალექსანდრე, ნატალია და თამარა ილიას ძენი და ასულნი: ხეხილიანი ვენახი შენობებით, მიწა ზომით 7 დეს. 720 ოთხკუთხი საჟ., ტფილისის გუბ. გორ. მაზ. სოფ. ზემო-ხანდაკაში. თავნი ვალი 1200 მ., შესატანი გარდასახადი 57 მ. 88 კ., სულ 1257 მ. 88 კ.

ზანდუკელი, საამ ოტიას ძე: ვენახი, მიწა ზომით 7 დეს. ტფილისის გუბ. დუშეთის მაზ. სოფ. არაგვისპირში. თავნი ვალი 1845 მ. შეს. გარდ. 55 მ. 89 კ. სულ 1900 მ. 89 კ.

ბებურო ვახნაძე, ალექსანდრე გიორგის ძე: ვენახი, მიწა ზომით 3 დ. 290 ოთხ კუთ. საჟ. ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზ. აგარაკ ბაკურციხეში. თავნი ვალი 1303 მ. შესატ. გარდასახადი 40 მ. 78 კ., სულ 1343 მ. 78 კ.

ქვემორე დასახელებულ მამულის ვაჭრობის დაწყებამდე ზემოდ დასახელებულ დარჩენილ გარდასახადის გარდა და აგრეთვე სახელმწიფო და საერობო გარდასახადთა, რომელიც ამ მამულზე იქნება დარჩენილი, წარდგენილ უნდა იქმნეს კიდევ $10^{0}/_{0}$ თავნი ვალისა და ყიდვის დღიდგან 14 დღის განმავლობაში გარდახდილ უნდა იქმნას ნასყიდობის ფული, ხოლო თავნის ვალის დარჩენილი გარდასახადი მყიდველს შეუძლიან ვალად იკისროს სესხის ვადის გათავებამდე.

ჯორჯაძე ეკატერინე ათანასეს ასული: ვენახი, მიწა ზომით 10 დეს. ტფილისის გუბ. თელავის მაზ. აგარაკ გრემში. თავნი ვალი 2800 მ., შესატანი გარდას. 159 მ. 60 კ. სულ 2959 მ. 60 კ. (3—6—1)


## იყიდება

**სურათი, რომელზედაც დახატულია თამარი**, როდესაც რუსთაველი ვეფხის-ტყაოსანს აძლევს. სურათი ნაკერია და ერთს ადლზედ მეტი იქნება. ღირს 300 მანეთი. ერევნის მოედანი, ლისინოვის და ტერპეტოვის მაღაზიაში. (3—199—1)

ТОВАРИЩЕСТВО

Брокаръ и К°.

ИЗВЕСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ

УСОВЕРШЕНСТВОВАННОЕ

ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО.




(11—მ.—6)

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ (8-Й ГОДЪ ИЗДАНІЯ)**

**на журналъ**

## ВѢСТНИКЪ ВИНОДѢЛІЯ

„**ВѢСТНИКЪ ВИНОДѢЛІЯ**“ выходитъ подъ редакціей ВАСИЛІЯ ТАИРОВА, **безъ предварительной цензуры**, ежемѣсячными иллюстрированными книжками въ четыре печатныхъ листа, по **самой обширной программѣ** и при **постоянномъ сотрудничествѣ** выдающихся иностранныхъ и русскихъ ученыхъ и спеціалистовъ.

„ВѢСТНИКЪ ВИНОДѢЛІЯ“ **рекомендованъ** Учеными Комитетами Министерства Народнаго Просвѣщенія и Министерства Государственныхъ Имуществъ. Кромѣ того, ему присуждены: **дипломъ перваго разряда**—на Всероссійской промышленной и художественной выставкѣ 1896 года въ Нижнемъ-Новгородѣ, **почетный дипломъ**—на международной вытавкѣ плодоводства и винодѣлія 1894 года въ С.-Петербургѣ, **почетный отзывъ**—на Выставкѣ плодоводства и садоводства Новороссійскаго края 1898 года въ Одессѣ, и **серебряная медаль**—на международной промышленной, художественной и научной выставкѣ 1895 года въ Бордо.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годъ съ пересылкою и доставкою—6 руб., для начальныхъ училищъ—4 руб. 50 коп., за границу—7 руб.

Имѣется ОГРАНИЧЕННОЕ количество полныхъ экземпляровъ журнала за 1892, 1893, 1894, 1895, 1897 и 1898 гг. ЦѢНА за годъ для лицъ, **подписавшихся на „Вѣстникъ“ 1899 года до 1-го числа наступающаго января**: 1892 г.—4 р. 50 к., 1893 г.—3 р. 50 к., 1894 г.—3 р. 50 к., 1895 г.—4 р., 1896 г. (полные экземпляры **распроданы**), 1897 г.—5 р. 50 к. и 1898 г.—6 р. Цѣны показаны съ пересылкою; безъ доставки—на 50 к. дешевле, а за границу—на 1 р. дороже. Съ 1-го января 1899 г. цѣны на могущіе остаться экземпляры журнала будутъ **значительно повышены**.

**АДРЕСЪ РЕДАКЦІИ**: Одесса, Канатная улица, № 13.